



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბოგობილ ბუქ-
უბი სიფყვას, ფუთილებით და ჭბრებით ბუბ-
თის გაღანა ყულა უჯანბნობაჲ უსამაგლოსია.

ბაგოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ორშაბათი, 30 მაისი. 2022 წ. №67 (9405) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

ბიძინა დვალის

ოფიცირი დებანი „პაუინობონის კრეპიდან“ და მხეპალი მისი სლოგან...



წინამდებარე წერილი თმისა და და-
ლაგის პარტიისა და მისი საგელიგების
მიერ შეფასება, როგორც ანგიდასაფ-
ლური განწყობების გაღვივების მცდე-
ლობა. პირდაპირ ვაცხადებ – ჩემი,
როგორც დასამღვრი ღირებულმე-
ბის ერთგული ქართველის მიზანი ან-

გიკოლონიური განწყობების გაღვივება
და მობილიზებაა, როგორც ამას აკ-
ეთებენ, მაგალითად, ირაკლი კობახიძე,
თავისი ბოლოდროინდელი გამოსვლე-
ბით და თეა წულუკიანი, ქართველთო-
ბულე იან კელისადმი
მიმართვით...

იხ. 3 გვ.

რუსეთი აფხაზეთთან და ფაქტო 4 საზღვარს აუქმებს

ბიზნესი საკულასიას 4 არ იულის!

ორი თვე სავსებით საქართველოს
იზიზიის, რომ ლარის გამოყარება
ფასაზე გავლენა მოახდინოს!

ჭეშმარიტი მაცნიერი და ქართულ აკადემიკოსთა ღირსეული თავკასი

კვლავ წარმატებებს ბისურვებთ!

ბამონინი ქართველ მეცნიერს და საზოგადო
მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკ-
ადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს ბიორბი (ოთარ) კვი-
სიტაძეს ოთხმოცი წელი შეუსრულდა. რვა ათეული წე-
ლიწინადი ისტორიისთვის ერთი ამოსუნთქვაა, ცალკე
ული პიროვნებისათვის კი მთელი ეტაპია, ეპოქაა. ფრი-
ად სასიამოვნოა, რომ ჩვენს იუბილარს ეს პერიოდი
ღირსებით აქვს გავლილი. იგი თავის დაბადების დღეს
ხელდაშვებულ, სხვაგვარი მეცნიერული მიღწევებით
ხვდება.

გიორგი კვესიტაძე დაიბადა და აღიზარდა თბილი-
სური ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლების
ოჯახში. სწორედ განსაკუთრებულმა ოჯახურმა გა-
რემომ განაპირობა მისი მომავალი. წარჩინებულმა
სწავლამ სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში, სპორ-
ტულმა წარმატებებმა მას გზა მეცნიერებისკენ გაუკაფა.
ღრმად დაუფლა ბიოქიმიის საფუძვლებს და დარგის
სერიოზული პრობლემების კვლევას შეუდგა. კვლევამ
მაღალი შედეგები გამოიღო. გიორგი კვესიტაძის მეც-
ნიერულ წარმატებებზე მეტყველებს მისი მრავალ-
რიცხოვანი ნაშრომი (მათ შორის მონოგრაფიები); სა-
ავტორო მოწმობები საქართველოს გარდა დაპატენ-
ტებულია აშშ-ში, შვეიცარიაში, გერმანიაში და სხვ.

მნიშვნელოვანია, რომ იუბილარს მჭიდრო კონტაქ-
ტები აქვს სხვადასხვა ქვეყნების წამყვან მეცნიერებ-
თან, ახლო მეცნიერული ურთიერთობა ჰქონდა გამო-
ჩენილ მეცნიერთან აკადემიკოს ა. ოპარინთან. საზი უნ-
და გაეცნას, რომ გიორგი კვესიტაძე ნაყოფიერ სამეც-
ნიერო საქმიანობას წარმატებით უთავსებს პედაგო-
გიურ მოღვაწეობას. მან ტექნიკურ უნივერსიტეტში ბი-
ოტექნოლოგიის კათედრა დააფუძნა. სხვადასხვა დროს
ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტსა და სუბტროპიკული მეურნეობის უნი-
ვერსიტეტში; დღეს ის აგრარული უნივერსიტეტის პრო-
ფესორია. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი გი-
ორგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საზღვარ-



80

გარეთაც. ლექციებს კითხულობდა აშშ-ისა და გერმა-
ნიის სხვადასხვა უნივერსიტეტებში.

მეცნიერის დამსახურება საერთაშორისო მასშტაბი-
თაა დაფასებული. იგი არჩეულია მრავალი აკადემიისა
და სამეცნიერო საზოგადოების, კერძოდ ევროპის მეც-
ნიერებისა და ხელოვნების აკადემიის (ზალცბურგი),
მსოფლიოს ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის, რუ-
მინეთის მეცნიერებათა აკადემიის, ევროპის ბიოქიმიკო-
სთა საზოგადოების, ევროპის მიკრობიოლოგთა საზო-
გადოებისა და სხვ. საპატიო წევრად.

აღსანიშნავია, რომ გარკვეული წლების მანძილზე ხე-
ლისუფლების ორგანიზაციაში მალაი საპასუხისმგებლო
თანამდებობების ტვირთის ტარებაც მოუხდა. ქვეყნისათ-
ვის ურთულეს პერიოდში (გასული საუკუნის 90-იანი
წლები) სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის
პოსტი ეკავა.

აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ მაღალი ორგანი-
ზატორული ნიჭი გამოავლინა მეცნიერთა ბიოქიმიის ინ-
სტიტუტში ჯერ დირექტორის მოადგილედ, შემდეგ კი
ოცდასული წლის მანძილზე დირექტორად მუშაობის-
ას. ამ პერიოდში ინსტიტუტმა (1998 წლიდან სერგო დურ-

მიშვილის სახელობის ბიოქიმიისა და ბიოლოგიური ტექ-
ნოლოგიების ინსტიტუტი) ღრმა და ინტენსიური კვლე-
ვითი საქმეები აწარმოვა, ჩამოყალიბდა ახალი მიმარ-
თულებები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გიორგი კვესიტაძის
მოღვაწეობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკ-
ადემიაში, რომლის ნამდვილი წევრია 1988 წლიდან. ათი
წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა აკადემიის ბიოლო-
გიის განყოფილებას. 2013 წლიდან იგი აკადემიის პრე-
ზიდენტია. საზი უნდა გავუსვათ, რომ მისი პრეზიდენ-
ტობის დროს აკადემიის ცხოვრებაში არაერთი სიახლე
დაინერგა. გადაიდგა ნაბიჯები ფუნდამენტური და გა-
მოყენებითი კვლევების დასაახლოებლად – მისი თაოს-
ნობით შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეულები, რო-
მელთა შორისაა ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლო-
გიების ცენტრი, მინის ფონდის მართვის მეცნიერული
უზრუნველყოფის კომისია, ეროვნულ პრობლემათა შემ-
სწავლელი კომისია და სხვ. გიორგი კვესიტაძის უშუ-
ალო ხელმძღვანელობით განხორციელდა პროექტი – ჩი-
ნეთისა და საქართველოს კვლევითი ტექნოლოგიების
სატრანსფერო ცენტრი გაიხსნა ქ. იანტაში.

გულწრფელად მინდა აღვნიშნო, რომ გიორგი კვე-
სიტაძე არასდროს იხვეს უკან ჯანსაღი აზრის დამკვიდ-
რებისას და აღწევს კიდევ იმ ჭეშმარიტ მიზანს, რო-
მელიც ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეობაა მიმარ-
თული. იუბილარის უმაღლესი თვისებაა კეთილშობი-
ლება და საერთოდ ადამიანებისადმი კეთილგანწყო-
ბა. იგი ბუნებით დემოკრატი და რეალურად ფიქრობს
ქვეყანაზე, ხალხზე, მეცნიერების განვითარებაზე.

წინ კიდევ დიდი გზაა, ბევრია საკეთებელი მეცნი-
ერების წინსვლისათვის. ღრმად მჯერა, რომ ოთხმო-
ცი წლის გიორგი (ოთარ) კვესიტაძე, რომელიც ფიზი-
კური და შემოქმედებითი ცხოვრებით სამაგალითოა,
ყველაფერს გააკეთებს როგორც ზოგადად ჩვენი ქვეყ-
ნისა და ხალხის, ისე კონკრეტულად მეცნიერების ჭეშ-
მარიტი წარმატების მისაღწევად.

როინ მებრეველი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

იხ. 5,6,7,8 გვ.

ირაკლი ღარიბაშვილმა იორდანიის მეფე აბდულა II-ს ოქროს საწმისის ორდენი გადასცა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა იორდანიის პაშიმიტური სამეფოს მეფე აბდულა II-ს წმინდა მიწაზე, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარე საქართველოსთვის მიწის გადაცემისთვის, მადლიერების ნიშნად, საქართველოს სახელით, ოქროს საწმისის ორდენი გადასცა.

ირაკლი ღარიბაშვილი მეფე აბდულა II-ს იორდანიის პაშიმიტურ სამეფოში ვიზიტის ფარგლებში შეხვდა და წმინდა მიწაზე, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარე 4000 კვადრატული მეტრი მიწის გადაცემისთვის მადლობა გადაუხადა.

„დიდი მადლობა, თქვენო სამეფო აღმატებულებებო ჩემთვის დიდი პატივია პირადად

რომ გხვდებით. მადლობა ჩვენი მონვევისა და მიღებისთვის. საქართველოსთვის მიწის ნაკვეთის გადმოცემის შესახებ თქვენი ძალიან გულუხვი გადანიშნულებისთვის მადლობას მოგახსენებთ ჩვენი მთავრობის, ქვეყნისა და ხალხის სახელით. თქვენო სამეფო აღმატებულებებო, გადაჭარბების გარეშე მინდა გითხრა, რომ ეს არის უდიდესი საჩუქარი და სიხარული მთელი ერისთვის. კიდევ ერთხელ გინდით მადლობას ამისთვის. მადლობა! ასევე მინდა ხაზი გავუსვა ჩვენი ურთიერთობის მნიშვნელობას. ნამდვილად კარგი შედეგებია მოგვეცა ჩვენი ორმხრივი ურთიერთობისა და სამომავლო განვითარების



განსახილველად. სწორედ ამიტომ ჩამოვედით დღეგაგაციით, მინისტრებით. ასე რომ, კიდევ ერთხელ მოგახსენებთ მადლობას. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ წმინდა მიწაზე საქარ-

თველოსთვის გადმოცემულ მიწის ნაკვეთზე ქართული კულტურის ცენტრის მშენებლობა ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის გაღრმავებას და ქართველი და იორდანელი

ხალხის ისტორიული მემკვიდრეობის შესახებ ცნობადობის გაზრდას.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, უდიდესი ისტორიული მოვლენაა, რომ საერო და სასულიერო ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით შედეგად, 300 წლის შემდეგ საქართველო წმინდა მიწაზე უბრუნდება. საქართველოს მფლობელობაში არსებულ მიწაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის კურთხევით, ქართული კულტურის ცენტრი აშენდება.

შეხვედრისას ხაზი გაესვა საქართველოსა და იორდანიის პაშიმიტურ სამეფოს შორის არსებულ მაღალი დონის თანამშრომლობას და გამოითქვა არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მზაობა. მთავრობის მეთაურმა იორდანიის პაშიმიტური სამეფოს მეფე აბდულა მეორეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და მისთვის ხელსაყრელ დროს საქართველოში მოინვიდა.



საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმი საბარაო საქმეთა ყოფილი მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი

ბატონო ირაკლი, ამ დღეებში ხშირად ვისხენებთ 1990-იან წლებს, როდესაც ბალტიის ქვეყნებმა ევროპული პროექტების ირგვლივ გაერთიანება შეძლეს, ხოლო საქართველო, სამწუხაროდ, სამოქალაქო ომში გაეხვია. პროცესზე დამკვირვებელთა ნაწილი ფიქრობს, რომ ანალოგიური „შესაძლებლობის ფანჯარა“ სწორედ ახლა იხსნება და შიშობენ, რომ ის კვლავ საქართველოს გარეშე დაიხურება. მსგავსი პერსპექტივა თქვენ რამდენად რეალისტურად მიგაჩნიათ?

„შესაძლებლობების ფანჯარასთან“ დაკავშირებით საუბარი არ არის უსაფუძვლო, რადგან ხედავთ, რაც ხდება მსოფლიოში. ის, რაც საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით გვქონდა, ფუნდამენტურად იცვლება და ეს, მათ შორის, საქართველოს მართლაც აძლევს თავისი სტრატეგიული

ირაკლი მენაღარიშვილი: ალტერნატივა ბევრად უარესია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგინა!

არჩევანის რეალიზაციის მიმართულებით სერიოზული ნაბიჯების გადადგმის შანსს. შევძლებთ თუ არა მის რეალიზაციას, ეს დამოკიდებულია უპირველესად იმაზე, რამდენად მოვახერხებთ ჩვენ – საქართველოს მოქალაქეები ამ იდეის ირგვლივ გაერთიანებას და ერთობლივად მოქმედებას. 90-იანი წლების პრობლემა მსოფლიოდ ის კი არ გახლდათ, რომ საქართველო ამგვარად გაერთიანებული არ იყო: ჩვენს საზოგადოებას მკაფიოდ წარმოედგინა არ ჰქონდა, რა სტრატეგიული მიზანი შეიძლებოდა, დავსახვა; რა იქნებოდა საუკეთესო ქვეყნის მიზნებიდან გამომდინარე და ა.შ. ამიტომ, ამგვარი გაუგებრობის გამო უამრავი რამ დაიკარგა. დღეს ჩვენ ამის საშუალება გვაქვს თუნდაც იმ გამოცდილების საშუალებით, რომელიც გასულ ათწლეულებში მივიღეთ. ვფიქრობ, ჩვენი სტრატეგიული ამოცანების რეალიზაცია ახლა ბევრად უფრო რეალისტურია.

– დიას, თითქოს ვეფლავერი ნათელია, გამოცდილებაც მივიღეთ, მაგრამ მაინც გვიჭირს კონსოლიდაცია და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა...

– ეს საქმე მარტივი არ არის, მაგრამ ამისთვის საჭიროა ყველა ძალის კონსოლიდაცია. ვიმეორებ, ეს მარტივი არ იქნება, მაგრამ ამის გარეშე ქვეყანა რეალური წინსვლის განხორციელებას ვერ შეძლებს.

– დიას, რთულია, მით უფრო ისეთ პოლარიზებულ გარემოში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მაგრამ თუ ეს კონსოლიდაცია ვერ შედგა და ამ „ფანჯარამ“ (უშუალოდ მასზე ვისაუბრებთ) ჩვენ გარეშე ჩაიარა, რა ალტერნატივა რჩება საზოგადოებას?

– ალტერნატივა ბევრად უარესია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგინა. დღეს ჩვენ წარსულს ვპარტიკულებთ, ხომ? ზუსტად ასეთი წესწესის, ასეთი უპასუხობილო განცდის საფუძველი რომ არ გვქონდეს მომავალში, სწორედ ამიტომაც არის საჭირო სრულიად შებენიანი დისკუსიების გაკეთება ყველას მიერ, ვინც ეს უნდა. საუბარი მთელ საზოგადოებაზე.

ეს თითოეული ჩვენგანის ვალია არა მხოლოდ ქვეყნის, საკუთარი თავის, ოჯახის, მიკროსოციალური გარემოს წინაშე.

– თქვენც ბრძანეთ, რომ კრემლის აგრესიულმა პოლიტიკამ ბევრი რამ შეცვალა და მათ შორის საქართველოსთვისაც გააჩინა შესაძლებლობები. მინდა, ამაზე ვისაუბროთ. კონკრეტულად რა სახის შესაძლებლობებს ხედავთ? მით უფრო, რომ საქართველო წარმოდგენილია რეგიონში, სადაც ჯერ კიდევ დომინანტად რჩება ძალა, რომელიც ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის ეგზისტენციული გამოწვევად გვყავს დანახული.

– სწორედ ამ ძალის ჩამოშლა ის პერსპექტივა, რომელიც სრულიად რეალურია, რომ ჩვენ წინაშე განხორციელდეს. უკრაინა დღეს მსოფლიოდ რუსეთს კი არ ებრძვის, იბრძვის მთელი რეგიონის სახელმწიფოების მომავლისთვის. როცა ამას ვამბობთ, კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ამ ომში რუსეთის დამარცხება წინაშე მისი უნარის მკვეთრ შესუსტებას, დამორგუნველი, ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს მეზობელი სახელმწიფოების პერსპექტივაზე. აი, ეს მისცემს საქართველოს საშუალებას, უფრო ეფექტურად იბრუნოს საკუთარი მომავლის რეალიზაციისთვის.

– დავსვამ კითხვას, რომელიც ამ კონტექსტში უფროს ხოლმე: აქ საქართველოს როლი რა არის? იგივე, შესაძლოა, საქართველოს ჩართულობის გარეშე მოხდეს, ხოლო ოფიციალურმა თბილისმა შეინარჩუნოს დამკვირვებლის პოზიცია, რის გამოც ხშირად აკრიტიკებენ, არ არის სათანადოდ სოლიდარული უკრაინის მიმართ.

– რუსეთის კი, მაგრამ საკუთარი მომავლის აშენების პერსპექტივას სხვას ვერ გადავაბარებთ. იმისთვის, რომ ქვეყანამ საკუთარი სტრატეგიული არჩევანის რეალიზაცია მოახდინოს, ამ მიმართულებით ყოველდღიური ნაბიჯების გადადგმა საჭიროა. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია არ გახლავთ რაღაც ზოგადი იდეა. ეს სრულიად კონკრეტული რამაა და ეს კარგად უნდა ცნობილი. რეალიზაცია ჩვენი მონაწილეობის, ჩვენი აქტიურობის გარეშე

უბრალოდ შეუძლებელია. ვერც რუსეთის დამარცხება და ვერც ვერანაირი პერსპექტივა რეგიონში სხვა პროცესების განვითარებისა, ჩვენს გასაკეთებელს ვერ გააკეთებს. კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ეს არის ჩვენი ამოცანა.

– ამ ფონზე კი გვაქვს ამგვარი მოცემულობა – ხშირად ისმის პარტიზორების მხრიდან კრიტიკა შიდა პროცესებთან დაკავშირებით, რაც მათ შორის კონკრეტულ რეფორმებს ეხება. იმავდროულად ვხედავთ კრიტიკის მიუღებლობას მმართველი გუნდის მხრიდან, მათ შორის ევროპარლამენტარების არასათანადოდ მოხსენიებას. ამასთან, როგორც ოპოზიციის წარმომადგენლები გვიზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს სხვადასხვა შესვედრებიდან – „ბრიუსელსა და ვაშინგტონში დაილაღნენ საქართველოს თემით“. ამ კონტექსტში ჩვენს პერსპექტივებს როგორ ხედავთ?

– კრიტიკული დამოკიდებულება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებამ ხელი აიღოს არჩევანზე და შეწყვიტოს მოძრაობა. ვერაფრით დავეთანხმები იმის მტკიცებას, რომ დასავლეთი განუდგა საქართველოს, ან უარყოფს საქართველოს როლს და დამსახურებას. პირიქით, ჩვენი ყველა სტრატეგიული მოკავშირე ალბათ როგორც არასდროს, დღეს მზადაა, მხარი დაუჭიროს საქართველოს სვლას ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ.

– მაგრამ ამისთვის ჩვენი მზაობაც არის საჭირო...

– რა თქმა უნდა, მოქმედება ჩვენ უნდა განვახორციელოთ.

– და დღეს მსგავს მორაობას ვხედავთ?

– ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რაც აუცილებელია და დასავლეთი მხარს დაგვიჭერს.

– რა კონკრეტული ნაბიჯებია გადასადგმელი? მესმის, რომ პასუხისმგებლობა ყველას ეკისრება, მაგრამ მეტი ხელისუფლებას, რადგან გადაწყვეტილების პერსპექტივა მის ხელშია...

– საუბარია კონკრეტულ სფეროებში კონკრეტულ რეფორმებზე, რომელთა ნუსხაც დიდი ხანია, განსაზღვრულია და სტრატეგიული არჩევანი, თუ რა მიმართულებით უნდა განხორციელდეს ეს რეფორმები, გარკვეულია. უბრალოდ, საჭიროა ამ ნაბიჯების აქტიურად და რაც შეიძლება სწრაფად გადადგმა.

– ტემპი იმგვარია, როგორც პროცესს სჭირდება? მაგალითად, მმართველი გუნდი ხშირად ოპოზიციისკენ იშვებოდა თითქოს, ისინი აზარალებენ ქვეყნის პერსპექტივას და ეს როგორ წარმოგიდგენიათ?

– ერთმანეთის დადანაშაულების პირობებში საქმე ვერასდროს გაკეთდება. საჭიროა ყველამ თავისი პასუხისმგებლობა განსაზღვროს, გაითავისოს და აკეთოს ის, რაც საქვეყნო საქმეს სჭირდება, როგორც ოპოზიციამ, ისე ხელისუფლებამ.

„ამცნატი“

რუსეთი აფხაზეთთან და ფაქტო საზღვარს აუქმებს

რუსეთში მის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთთან ფსოვზე გამავალი დე ფაქტო საზღვრის გაუქმებას გეგმავს.

საქართველოს ამ ტერიტორიის ანექსიის მიმართულებით დაგეგმილი მორიგი ნაბიჯისთვის მოსკოვი საბაზად "არნახულ ტურისტულ ნაკადს და ამასთან დაკავშირებით საზღვრის კვეთის მაქსიმალური გამარტივების აუცილებლობას" იყენებს.

„საუბარია ფსოუს სასაზღვრო გადასასვლელზე საზღვრის კვეთის პრობლემა წლიდან წლამდე რთულდებოდა. შევთანხმდით, ჩამოვყავალიბოთ სამუშაო ჯგუფი. თუმცა დავაყენეთ უფრო სერიოზული საკითხებიც – რომ ეს გადასასვლელი საერთოდ გაუქმდეს, დაახლოებით ისევე, როგორც ეს ბელარუსთან გააკეთეთ, რად-

გან უბრალოდ გაფართოება-მოდერნიზაცია პრობლემას სწრაფად ვერ გადაჭრის“, – განაცხადა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის საქმეთა და ევრაზიული ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ლეონიდ კალაშნიკოვმა.

„სადღესოდ პირველხარისხიანი ამოცანა საზღვრის კვეთის გამარტივებაა, მაგრამ გადასასვლელი სტრატეგიული საკითხიც – მივდივართ თუ არა ამ საზღვრის სრულად გაუქმებისკენ, ჩვენი სახელმწიფოების – რუსეთის ფედერაციისა და აფხაზეთის წარმატებული ურთიერთობების გათვალისწინებით“ – აღნიშნა, თავის მხრივ, სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერმა ანა კუზნეცოვამ.

მანამდე აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო უწყების ხელმძღვანელმა, კრემლის მიერ



ხელდასმულმა ინალ არძინამ „საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, წლებადეულ სეზონზე რუსეთიდან მოსალოდნელი არნახული ტურისტული ნაკადი“ იწინასწარმეტყველა და აღნიშნა, რომ „საზღვრის კვეთის გამარტივება განსაკუთრებულ არს იქნის რუსეთის მოქალაქეებ-

ისთვის, რომლებიც 40-გრადუსიან სიცხეში რიგებში დგომას არ მოინდომებენ“.

ცნობისთვის: საქართველოს მეორე ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხინვალის რეგიონში ივლისის შუა რიცხვებისთვის რუსეთის ფედერაციასთან მიერთების თემაზე ენ. რეფერენდუმი დაგეგმილი.



სასწრაფო დახმარების ცენტრის თანამშრომლებს ხელფასი არ უმეხრებოდა!

არასწორია მადიანი გამრცელებული ინფორმაცია, თითქოს, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომლებს სახელფასო ანაზღაურება უმეხრებოდა. სასწრაფო დახმარების ცენტრის თანამშრომლებს სახელფასო ანაზღაურება უმეხრებოდა, – ამის შესახებ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია დადასტურებული. უწყების განმარტებით, სასწრაფო დახმარების ცენტრის თანამშრომლებს მხოლოდ ის ფულადი დანამატი მოეხსნა, რომელიც კოვიდპანდემიის დროს გაიცემოდა გაზრდილი გამოძახებებისა და დატვირთული სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით.

„გვსურს, გამოვხატოთ ტელეკომპანია „TV პირველის“ მიერ გავრცელებულ მორიგ დეზინფორმაციას, თითქოს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომლებს სახელფასო ანაზღაურება უმეხრებოდა. საზოგადოების ინფორმირებისთვის განვმარტებთ, რომ სასწრაფო დახმარების ცენტრის თანამშრომლების სახელფასო ანაზღაურება არ შემცირებულა, მათ მოეხსნათ მხოლოდ ის ფულადი დანამატი, რომელიც კოვიდპანდემიის დროს გაიცემოდა გაზრდილი გამოძახებებისა და დატვირთული სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით. სასწრაფო დახმარების გამოძახებები კოვიდპანდემიის დადებითი დინამიკის ფონზე, მნიშვნელოვნად შემცირებულია. თუმცა სასწრაფო დახმარების თანამშრომლებთან შეხვედრის შემდეგ, სამინისტრომ დაუშვა გამონაკლისი და აპრილის თვის ფულადი დანამატი ისინი უახლოეს დღეებში მიიღებენ. ასევე ტელეკომპანია „TV პირველი“ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს სასწრაფო დახმარების ექიმების ხელფასების შემცირების პარალელურად, მხოლოდ მინისტრის და მისი მოადგილის კაბინეტი გარემონტდა, რაც ასევე არის სიცრუე და უწყების მიზანმიმართული დისკრედიტაცია. საზოგადოების ინფორმირებისთვის განვმარტებთ, რომ კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები მინისტრის, შეხვედრებისა და თანამშრომელთა სამუშაო ოთახებში ჩატარდა. ასევე ეტაპობრივად მიმდინარებს კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები სამინისტროს სხვადასხვა სართულზე. აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის სამინისტროში სარემონტო სამუშაოები ბოლოს ჩატარდა 2011 წელს, შესაბამისად გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე, მთელ შენობაში იგეგმება კოსმეტიკური რემონტის ჩატარება“!

ბიზნესი სპეკულაციას არ იშლის!

ორი თვე სავსებით სავაჭროს იმისთვის, რომ ლარის გაყვარება ფასებზე გავლენა მოახდინოს!

ლარი ბოლო რამდენიმე კვირაა გამყარებას განაგრძობს, მაგრამ ფასებზე და მოსახლეობის ჯიბეზე ჯერ არ ასახულა და მოქალაქეებს პროდუქტების შექენა კვლავ გაძვირებული ფასებით უწევთ.

როგორც For.ge-თან საუბრისას მოქალაქეები აღნიშნავენ, ლარის გამყარება მოსწონთ, მაგრამ პროდუქტებზე ფასის ისეთი მაღალია, რომ თვიდან თვემდე თავის გატანა უჭირთ...

ეკონომისტები მოსახლეობას ამშვიდებენ და აცხადებენ, რომ ფასები მალე დაიკლებს. როგორც For.ge-თან ანალიტიკოსმა პაატა ბაიარასტარმა აღნიშნა, ლარის გამყარების შემდეგ დროა საჭირო, რომ პროდუქტზე ფასებმა იკლოს.

„ლარის კურსის გამყარება პირდაპირპროპორციულია სასურსათო პროდუქტების ფასების, მაგრამ ასე მალე არ მცირდება ხოლმე, ამას გარკვეული გადაცემის პერიოდი აქვს. ლარის გამყარება ნამდვილად მოახდენს ზეგავლენას რაც პროდუქტებზე, მათ შორის, დაწყებული ნავთობიდან, დამთავრებული სასურსათო პროდუქტებით. აქედან გამომდინარე, კურსის დასტაბილურება ეტაპობრივად გადაჭრის რიგით პრობლემებს. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმპორტდამოკიდებული ქვეყანა ვართ და ჩვენი სამომხმარებლო კალათის 70% იმპორტდამოკიდებულია. ასეთ რეალობაში ნომინალური კურსის სიჯანსაღეს ფასების საერთო დონეზე მჭიდრო კავშირი აქვს ხოლმე“, – განაცხადა პაატა ბაიარასტარმა.



დაახლოებით რამდენ ხანში მოხდება პროდუქტებზე ფასების კლება, ეკონომისტი ასე განმარტავს: „კურსი ბოლო ორი თვეა მყარდება. ორი თვე სავსებით სავაჭროს იმისთვის, რომ ამან ფასებზე გავლენა მოახდინოს. ლარი გამყარება უცხად ხომ არ მომხდარა, ეტაპობრივად მიმდინარეობდა. პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს, ამიტომ მას უფრო მეტი გადაცემის დრო სჭირდება, რათა ფასებზე გადაცემა მოახდინოს. აქედან გამომდინარე, საშუალოვადიან პერსპექტივაში, კურსის სტაბილურობის შენარჩუნების შემთხვევაში, ფასების კლება მოხდება“.

ფასები დაიკლებს, როგორც იმპორტირებულ, ასევე ადგილობრივ წარმოებულ პროდუქტებზე. უბრალოდ, იმპორტირებულ პროდუქტებზე ფასების დაკლება უფრო თვალსაჩინოა.

„ნებისმიერ პროდუქტზე ეროვნული ვალუტის დასტაბილურება, ფასების მიმართულებით პოზიტიურად უნდა მოქმედებდეს. იმპორტირებულ პროდუქტებზე ამას თვალსაჩინო შედეგი აქვს, რადგან ძირითად შემთხვევაში, იმპორტი დოლარში ხორციელდება. ამის გარდა, ეროვნული ვალუტის დასტაბილურება, ადგილობრივ პროდუქტებზეც დადებითად აისახება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ადგილობრივი პროდუქტებზე იმპორტირებულ ნედლეულს იყენებენ, მინიმუმ ლოჯისტიკურ მიმართულებით მაინც. აქედან გამომდინარე, გაჯანსაღებული კურსი, როგორც იმპორტზე, ისე ადგილობრივ წარმოებაზე დადებითად მოქმედებს. უბრალოდ, იმპორტირებულთან მიმართებაში ეს უფრო თვალსაჩინოა“.

თუკი ლარის გაუფასურების შემთხვევაში პროდუქტებზე ფასები უმაღლეს ემატება, გამყარების შემთხვევაში დაკლებას დრო რატომ სჭირდება, პაატა ბაიარასტარი ასე გვპასუხობს: „ამ საკითხზე ეკონომისტები და იმპორტიორები ძალიან ხშირად დავობენ. ბიზნესის კუთხით თუ შევხედავთ, ბიზნესი ამანუა ორიენტირებული. რაც უფრო მაღალი მოგება დარჩება ბიზნესს, ესაა მისთვის მთავარი, მაგრამ კონკურენტული გარემო ამას არეგულირებს, ანუ ამის საშუალებას კომპანიებს კონკურენტული გარემო არ აძლევს. საბედნიეროდ, ეს კონკურენტული გარემო არსებობს.“

ეკონომისტი ანდრეა გვიდიანიც მოეხსენა, რომ ფასების კლება მოხდება. მისივე თქმით ლარის გამყარება დამოკიდებული არ არის იმაზე, რომ საქართველოს სატრანზიტო დერეფანი დაიტვირთა.

„ზოგადად, კურსის ფაქტორი სამომხმარებლო ფასებზე რომ აისახოს, ამას დრო სჭირდება, მყისიერად არ ხდება. იმპორტიორებს შესაბამისი მარაგი გარკვეული კურსით აქვთ შექენილი. როდესაც იმპორტიორები საქონლის შექენას ახალი ფასით შექენებენ, ფასების კლება მაშინ დაიწყება. დღეს და გუშინ თუ კურსი გამყარდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფასები დღესვე დაიკლებს, ამას დაახლოებით ორი თვის ვადა სჭირდება, რომ ახალი ფასები დადგინდეს.“

რაც შეეხება ლარის კურსის გამყარებას, კურსი ბევრი ფაქტორისგან შედგება. ძირითადი ფაქტორია უცხოური ვალუტის შემოდინება. სატრანზიტო ფუნქციის გაზრდა, ზოგადად, ქვეყანას უფრო მიმზიდველს ხდის. ამას გრძელვადიანი ჭრილი აქვს და გრძელვადიანი კუთხით უნდა შევხედოთ. რა თქმა უნდა, სატრანზიტო ფუნქციის გაზრდა თავიდან ბოლომდე ემსახურება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. განვითარებული ეკონომიკა კი ინვესტირებისთვის არის მიმზიდველი“, – განაცხადა ანდრეა გვიდიანი.

ძმთი ბიორბაძე

სტიქიის შედეგად დაზიანებული სკოლები მონაწილეობენ

საბანანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს სტიქიის შედეგად დაზიანებული სკოლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

მიმდინარე წლის მარტსა და აპრილში ძლიერი ქარი-სა და წვიმების შედეგად კახეთის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის 11 საჯარო სკოლაში დაზიანდა სახურავი. სააგენტომ ოპტიმალურად მოკლე დროში განახორციელა არსებული ვითარების სრული ანალიზი და დაიწყო სა-

რეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. სისპ საბანანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი ლევან სუსხიტაშვილი ადგილზე გაეცნო მიმდინარე პროცესს.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოები საქართველოში არსებული სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით ხორციელდება და მიმდინარე წლის ივნისის შუა რიცხვებში დასრულდება. პროექტის ჯამური ღირებულება მილიონ ნახევარი ლარია.

ჭეშმარიტი მესნიერი და ქართულ აკადემიკოსთა ღირსეული თავკასი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვეციანი 80 წლისა



ბამონიანი ქართველ მეცნიერს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს ბიორგი კვეციანს 80 წელი შეუსრულდა.

იგი დაიბადა თბილისელი ინტელიგენტის ოჯახში. დედა – მარიამ გომილაძე-შვილი იყო ზოოტექნიკოსი, მეცნიერებათა კანდიდატი, მამა – ივანე კვეციანი კი ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, წლების მანძილზე სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ზოო-ვეტერინარული ინსტიტუტის რექტორი. სწორედ ოჯახურმა გარემომცემმა განაპირობა მისი მომავალი. დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიაში აკადემიკოს სერგი ღურშიაშვილის ხელმძღვანელობით. მისივე რჩევით სწავლა გააგრძელა მოსკოვის ა. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, გამოჩენილი მეცნიერის, პროფესორ რ. ფენიქსოვას ხელმძღვანელობით. იქვე დაიკავა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ამის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტს, სადაც ხელმძღვანელობდა ლაბორატორიას, 1983-1987 წ. იგი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა, შემდეგ კი – დირექტორი. მისი 25-წლიანი ხელმძღვანელობის პერიოდში ინსტიტუტმა შეინარჩუნა მდიდარი სამეცნიერო ტრადიციები, ჩამოყალიბდა ახალი მიმართულებები, ინსტიტუტში ახლაც ინტენსიურად გრძელდება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ისეთ აქტუალურ თემებზე, რომლებსაც დაემატა ბიოქიმიის მოტივები შეუძლიათ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

ღებულ აქვს მიკროსკოპული სკოლების 20-მდე გენეტიკურად სტაბილური სამრეწველო დანიშნულების მუტანტური შტამი, რომლებსაც მკვეთრად აქვთ გამოხატული სტაბილური ფერმენტების ამაღლებული ბიოსინთეზის უნარი. აღნიშნულ კვლევებს მცენარეა 50-ზე მეტი პუბლიკაცია მიუძღვნა.

ქვეყნისათვის უდავოდ პერსპექტიული და მრავალი სიკეთის მომტანი ფერმენტების მოქმედებაზე აგებული ტექნოლოგიების გამოყენება. ამ მიმართულებას საქართველოში საფუძვლიანი გიორგი კვეციანის ჩაუყარა. 1986 წელს მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა ექსპერიმენტული ქარხანა, სადაც ორი ათეული ფერმენტის მიღების ტექნოლოგიაა აპრობირებული.

იგი ჩვეული ენერჯით ხელმძღვანელობს კვლევით სამუშაოებს, რომელთა მიზანია ეროვნული და ტოქსიკური ნაერთებით დაბინძურებული ნიადაგების რემედიაცია, მცენარეული და მიკრობული დეტოქსიკაციის მოლეკულური მექანიზმების დადგენა, ექსტრემალურ პირობებში მზარდი მიკროორგანიზმების სელექცია და მათი მეტაბოლური თავისებურებების დადგენა. მცენარეული ნარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების გამოვლენა და მათი შეფასება.

მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი საქართველოს ბიომრავალფეროვნების, მათ შორის მიკრობული მრავალფეროვნების შესწავლაში. მისი ხელმძღვანელობით შექმნილია კავკასიონის სამხრეთ კალთების მრავალფეროვანი ნიადაგურ-კლიმატური ზონების გამოყოფის ნიადაგის ბაქტერიების, აქტივობის ტერაპიების, მიკროსკოპული და ბაზიდიალური სკოპების, საფუძვრების უნიკალური კოლექცია. შესწავლილია მათი ბიოსინთეზური და ბიოდეგრადაციული პოტენციალი.

აკადემიკოსმა გიორგი კვეციანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ენზიმოლოგიის განვითარებაში. მის მიერ სელექციის გზით მიღებული ფერმენტების მენარმე მიცელარიული სოკოების შტამებიდან დამუშავებულია პიდროლაზური ფერმენტების მიღების ტექნოლოგიები. შესწავლი-

ლია მათი სტრუქტურულ-ფუნქციური ორგანიზაცია, თერმოდინამიკური პარამეტრები და ფერმენტული კატალიზის კინეტიკა.

მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში მიღებული მონაცემების გათვალისწინებით და საკუთარი კვლევების შედეგების საფუძველზე გ. კვეციანმა ჩამოაყალიბა ახალი ეკოლოგიური კონცეფცია, რომელიც ფიტორემედიაციული ეკობიოტექნოლოგიების გლობალურ გამოყენებას გულისხმობს.

სრულიად განსაკუთრებულია მისი დამსახურება საქართველოში ბიოტექნოლოგიის, როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული კუთხით განვითარების საქმეში.

გიორგი კვეციანმა 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, 4 საერთაშორისო, 77 სსრ, და 15 ეროვნული პატენტის ავტორია.

მისი სტატიები გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში: Biotechnology and Bioengineering, Acta Biotechnologica, Biotechnology and Applied Biochemistry, Fresenius Environmental Bulletin, Ecotoxicology and Environmental Safety, Journal of Biological Physics and Chemistry, International Biodegradation and Biodeterioration, The Eurobiotech Journal, Energy და სხვ. თავად გახლავთ ხუთი საერთაშორისო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ მთავარი რედაქტორი.

გიორგი კვეციანმა ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ფორუმის ორგანიზატორი და მონაწილეა. ხანგრძლივი და მჭიდრო სამეცნიერო თანამშრომლობა აკადემიკოსს უცხოეთის მრავალი ქვეყნის ალიანტებულ სამეცნიერო ცენტრებთან.

აკადემიკოსი გიორგი კვეციანმა ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას წარმატებით უთავსებს პედაგოგიურ საქმიანობას. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსი-

ტეტის პროფესორი, დღემდე საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორია. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საზღვარგარეთაც. სხვადასხვა დროს მიწვეული იყო უცხოეთის მრავალ ქვეყანაში, სადაც ბიოტექნოლოგიისა და ენზიმოლოგიის კურსებს კითხულობდა. მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტანტობით დაცულია 71 საკანდიდატო და 16 სადოქტორო დისერტაცია.

გიორგი კვეციანმა არჩეულია მრავალი ქვეყნის აკადემიისა და სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრად, საქართველოს ბიოუსაფრთხოების ასოციაციის პრეზიდენტად, რუმინეთის კონსტანცის „ოვიდოს“ უნივერსიტეტის, დონის ტექნიკური უნივერსიტეტის, ყაზახეთის ნაციონალური აგრარული უნივერსიტეტისა და სხვ. საპატიო დოქტორად. 2016 წელს მიენიჭა საპატიო თბილისელის, ხოლო 2021 წელს ფონის საპატიო მოქალაქის წოდება. დაჯილდოებულია დიპლომებითა და მედლებით, მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ერეკლე მეფის მედალი. 2020 წელს მიენიჭა ინჟინერიისა და ტექნოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტის (International Engineering and Technology Institute - IETI) ყოველწლიური სამეცნიერო პრემია. იმავე წელს თანაავტორებთან (გია ხატისაშვილი, თინათინ სადუნიშვილი) ერთად დაჯილდოვდა საქართველოს ეროვნული პრემიით ნაშრომისათვის „Biochemical Mechanisms of Detoxification in Higher Plants - Basis of Phytoremediation“, Springer - Verlag Berlin Heidelberg, 2006 (დეტოქსიკაციის ბიოქიმიური მექანიზმები უმაღლეს მცენარეებში, ფიტორემედიაციის საფუძველი).

გარკვეული წლების მანძილზე ეკავა მაღალი საპასუხისმგებლო თანამდებობები სახელისუფლებო ორგანოებში, იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, მოგვიანებით – სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი მოღვაწეობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, რომლის წევრიც იგი 1988 წლიდანაა. 10 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილებას, ხოლო 2013 წლიდან აკადემიის პრეზიდენტი. მისი პრეზიდენტობის დროს აკადემიის ცხოვრებაში არაერთი სიახლე დაინერგა. გადაიდა ნაბიჯები ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების დასახლოებულად. მისი ინიციატივით შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეულები, კერძოდ, ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი, ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია და სხვ.

ბატონი გიორგის თაოსნობით აკადემია წარმატებით განაგრძობს საერთაშორისო კავშირების გაფართოებას. ამის ნათელი მაგალითია ჩინეთისა და საქართველოს კვლევითი და ერთობლივი ტექნოლოგიების საერთაშორისო კავშირების დადგენა. დაჯილდოებულია დიპლომებითა და მედლებით, მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ერეკლე მეფის მედალი. 2020 წელს მიენიჭა ინჟინერიისა და ტექნოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტის (International Engineering and Technology Institute - IETI) ყოველწლიური სამეცნიერო პრემია. იმავე წელს თანაავტორებთან (გია ხატისაშვილი, თინათინ სადუნიშვილი) ერთად დაჯილდოვდა საქართველოს ეროვნული პრემიით ნაშრომისათვის „Biochemical Mechanisms of Detoxification in Higher Plants - Basis of Phytoremediation“, Springer - Verlag Berlin Heidelberg, 2006 (დეტოქსიკაციის ბიოქიმიური მექანიზმები უმაღლეს მცენარეებში, ფიტორემედიაციის საფუძველი).

აკადემიის მანძილზე ეკავა მაღალი საპასუხისმგებლო თანამდებობები სახელისუფლებო ორგანოებში, იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, მოგვიანებით – სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

გზადლობთ, ბატონო პრეზიდენტო!

გულმხმარებელად ვულოცავ საიუბილეო თარიღს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს გიორგი კვეციანს. მრავალწლიური იყოს მისი შემოქმედებითი სიცოცხლე, ოჯახური ბედნიერება ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ და საიმედოდ.

სასიხარულოა, რომ აკადემიის ყოფილი პრეზიდენტების, საერთაშორისო დონის უბადლო მათემატიკოსი მეცნიერების შემდეგ, ეს საპატიო ადგილი, ასევე ცნობილია მეცნიერ-ბიოქიმიკოსმა, მცენარეთა ბიოქიმიის ფუძემდებელმა, აკადემიკოსმა გიორგი კვეციანმა დაიკავა.

ბატონი გიორგი ბრძანებს, რომ „მისი პრიორიტეტი იქნება საერთო სამეცნიერო სივრცის შექმნა მთელ საქართველოში, ყველა კვლევითი დაწესებულების და ფიზიკური პირის მოღვაწეობა, რომლებსაც შეუძლიათ მეცნიერული მიმართულებების აღორძინება, რაც ქვეყანას სწრაფად განვითარების და ეკონომიკური ნახტომის საშუალებას მისცემს“.

აკადემიკოსი გიორგი კვეციანმა მეცნიერული მიმართულებით კავკასიის მრავალფეროვანი მიკრობების შესწავლის და

მათი ექსპერიმენტული კოლექციის შექმნის, სელექციისა და იმობილიზაციის საფუძველზე ახალი სუბსტანციების შემუშავების საკითხებზე მოღვაწეობს, რაც სწრაფად განვითარებადი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაზრდას განაპირობებს.

ბატონ გიორგის ფარმაკოქიმიური მეცნიერების და ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის განვითარება ქვეყნის პრიორიტეტად მიაჩნია და ყოველმხრივ უდავო მხარში. თუნდაც ახლახან, სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს მოთხოვნა, ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ტერიტორიის ნაწილის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების, აპარატურა-დანადგარების უსასყიდლოდ და მუდმივი გადაცემის თაობაზე, რაც ინსტიტუტის გაუქმების წინაპირობა გახლდათ, ბატონი გიორგის ძალისხმევით და კანონიერი შეუპოვრობით ეს საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან.

უდიდესი მადლობა, ბატონო პრეზიდენტო, ამ ფასდაუღებელი ღვაწლისთვის.

შირაქის ველზე 150 ჰექტარზე გაშენებული სამკურნალო მცენარეთა პლანტაციების გაუქმებას და ფართობის გადაცემას ითხოვდნენ ზემო და ქვემო ალვანის მეურნეობები.

სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრად ყოფნის პერიოდში ბატონმა გიორგიმ ეს საკითხიც შეაჩერა.

აკადემიკოსი გიორგი კვეციანმა მრავალი უცხოური აკადემიის და მონაწილე უნივერსიტეტების საპატიო წევრი და დოქტორი, მთელი რიგი სახელმწიფო ჯილდოების მფლობელი, დიდებული უბრალოებით გამოირჩევა, იგი კეთილშობილების და კეთილგანწყობის განსახიერებაა, რითაც მან საზოგადოებაში დამსახურებული პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. ჩვენი შეხვედრები და საუბრები ამ მრავალმხრივ მეცნიერთან სასარგებლო და სასიამოვნოა.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ბატონ გიორგი კვეციანს 80 წლის საიუბილეო თარიღს, ვუსურვებ წარმატებებს მეცნიერულ, სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში და სრულ პირად ბედნიერებას.

ეთარ ქაშირტალია,
აკადემიკოსი

ჭეშმარიტი მესნიერი და ქართველ აკადემიკოსთა ღირსეული თავკასი

მისი სახელი სწობილია საქართველოს დონეზე!



პროფესორი გიორგი კვეციანი, შესანიშნავი მეცნიერი, სხვადასხვა დანესებულებების ხელმძღვანელი და პოლიტიკოსი, 80 წლის გახდა. საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებებსა და სარედაქციო კოლეგიებში მაღალი პრესტიჟული წევრობის გარდა, 2013 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ტია. ჩემთვის ყოველთვის დიდი პატივი იყო მასთან თანამშრომლობა ევროკავშირის სხვადასხვა ერთობლივ პროექტებში. ჩვენ გვაერთიანებს არა მხოლოდ 30 წელზე მეტი ხნის წარმატებული თანამშრომლობა ჩვენს ინსტიტუტებს შორის, არამედ ღრმა პირადი მეგობრობაც.

პროფესორი გიორგი კვეციანი, ბიოტექნოლოგიის, ბიომრავალფეროვნების, ფერმენტების და განსაკუთრებით ექსტრემოფილების დარგში ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანი ქართველი მეცნიერთაგანია, რომელიც ცნობილია და დაფასებულია როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

როგორც ჩანს, მისი წარმატებული ეროვნული და საერთაშორისო ჩართულობა მეცნიერებაში, პრაქტიკაში და პოლიტიკაში განუყოფლად არის დაკავშირებული. ამ წარმატების საფუძველს წარმოადგენს უაღრესად პროდუქტიული სამეცნიერო საქმიანობა, რომელსაც თან ახლავს სხვების მოტივაციისა და დარწმუნების ამკარავი ნიჭი.

პირად საუბრებში ყოველთვის დიდი სიამაყით ახსენებს შვილებს და მეუღლეს. ის ძალზე სასიამოვნო და მხიარული ადამიანია, რაც ყოველთვის მემახსოვრება გრაცში და ჩვენს სახლში მისი ვიზიტებიდან. ჩვენ გვერდით ღრმა საუბრები ღმერთის და სამყაროს შესახებ ერთი ჭიკა კარგი ღვინის თანხლებით. ის ასევე არის სომელიე და ღვინის საერთაშორისო ჟიურის წევრი. განსაკუთრებით მახსოვს მისი მეგობრობა ჩემს მეუღლესთან და შვილებთან, რომელიც განვითარდა მისი ჩვენთან ვიზიტების შედეგად.

გიორგი, ჩვენ, შტაინერების ოჯახი, გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და მშვიდ, უსაფრთხო მომავალს.

ვალტარ შტაინერი,

პროფესორი გრაცის გეოლოგიის უნივერსიტეტში, ბიოტექნოლოგიისა და ბიოქიმიური ინჟინერიის ინსტიტუტში



წმინდა აქვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი

საქართველოს კულტურის ფონდის პრემიის ულოცავს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, დიდ მეცნიერს და სამოგადლო მოღვაწეს, აკადემიკოს **გიორგი კვეციანს** წმინდა აქვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის სახელით. ულოცავს მის დიდხანს სიცოცხლეს, დღეგრძელობას და წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში.

საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე **თამაზ შილაკაძე,** აკადემიკოსი 25.05.22

კასური კასობის ღირსეული წარმომადგენელი

როცა ვხედავ დღევანდელი ჩემი ქვეყნის სავალდებულო მდგომარეობას როცა ვხედავ სულნამცვეთა ქონდრისკაცების სიმრავლეს, რომელთაც მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა და მუცლის სიმძაღრის გარდა არაფერი ანაღვლებს, მძიმე ფიქრები, პესიმისტური განწყობილებით შევჯერებული, მიბყრობს ხოლმე და არ მასვენებს: რა გვეშველება, როგორ გადავარჩინოთ ჩვენი ერი, როცა ქართველებმა ღირსება დაგკარგეთ და უღირსობის „გუბები“ სიამოვნებით ვჭყუშებდით.

ერთადერთი იმედის სხივი მაშინ გაცოცხლდება ჩემს გულში, როცა ვისვენებ, რომ ჯერაც ჩვენს საზოგადოებას შემორჩენენ ადამიანები, რომელთაც ძალუძთ ქართველობის მძიმე ტვირთი ატარონ ზურგით და თუკი საჭიროება მოითხოვს, განირონ თავისი სიცოცხლე ერისა და ეროვნების გადასარჩენად. აი, ამ თითზე ჩამოსათვლელ ადამიანთა შორის მეგულება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვეციანი.

ადემიის პრეზიდენტი გიორგი კვეციანი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ქართველთა ტრადიციების, ზნეობისა და ეთიკის ძნელად გასაგებელ გზაზე მტკიცედ მიაბიჯებდა და დღესაც 80 წლის ასაკში ისეთი შემართებით იღვწის, ვიტყვოდი თავი განწირვით იბრძვის ეროვნული სხეულისა და სულის გადასარჩენად, რაც, თუ გავიხსენებთ ჩვენს ისტორიულ წარსულს და გნებავთ დღევანდელი ბას, ერთობ ძნელად გასამარჯვებელი შერკინებაა. პირადად მე მნამს, რომ იგი ამ ბრძოლას გამარჯვებით დაასრულებს, რასაც მაფიქრებინებს ქართველი რაინდის თვისებები: მას არასდროს ავიწყდება აკადემიის, რომ იგი არის ადამიანი, რომელიც ყველა თვისებით არის დამშვენებული, ადამიანობას რომ შევფერის: ის არის გულდია და ალალი, სიკეთით აღსავსე და ცდილობს, ყველას, მტერი იქნება თუ მოყვარე, სიკეთე უწილადოს. უღალატო მეგობარია, განსაკუთრებული ძალით

უყვარს თავისი სამშობლო, მრავალგვარი ბუნებით დამშვენებული, რომელსაც თავისი სხეულის ნაწილად მიიჩნევს და ელოლიავება. მას სწამს, რომ საქართველოს გადაარჩენს დემოგრაფიული სიმრავლე, ხოლო დემოგრაფიას გადაარჩენს ჯანსაღი ეკოლოგია. ამიტომ თავდავიწყებით იკვლევს საქართველოს ბუნებას. ის არის უზადოდ პატრიოტი, რომელიც არცროდის უღალატებს არც ჭეშმარიტად ქართველ კაცს და არც თავის სამშობლოს, იღუმალა სიყვარულით რომ უყვარს.

ერთი სიტყვით, ბატონო გიორგი, ღირსებით აღსავსე კაცობის ალამდარი ხარ, გილოცავ დაბადების დღეს და მყარად მნამს, რომ კვლავაც ქველბურთი, ახალგაზრდული შემართებით გაუძღვევით მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, რომელიც მამულიშვილობის, ეროვნული ტრადიციების და ზნეობის ტაძარია.

ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი

ენერგეტიკის აკადემიის სახელით...

საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ულოცავს ჩვენი ქვეყნის სახელოვან მამულიშვილს, დიდ მეცნიერსა და მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების, ასოციაციისა და საბჭოს წევრს, პოლოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **გიორგი (ოთარ) კვეციანს** დაბადების 80 და სამეცნიერო, პედაგოგიური და სამეურნეო მოღვაწეობის 60 წლისთავს.

ბატონო ოთარ, ენერგეტიკის აკადემია დარწმუნებულია, რომ კიდევ ბევრჯერ გაახარებთ ქვეყანას ახალი მიღწევებით. ღმერთმა არ მოგაკლოთ ჯანმრთელობა, ბედნიერება და სისარული თქვენს შესანიშნავ ოჯახთან ერთად.

აკადემიის სახელით, **რევაზ არველაძე,** პრეზიდენტი

საქართველოს მესნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ოთარ კვეციანს!

ბატონო ოთარ, 60 წელია, ვიცნობთ ერთმანეთს, 60 წელია, ვინარჩუნებთ ერთმანეთის მიმართ უღრმეს პატივისცემას, ერთგულებას და ნდობას. წლებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ეს ძალიან მნიშვნელოვანია და სწორედ ამიტომ ჩემთვის ძვირფასია თქვენთან ურთიერთობის ეს ექვსი ათეული წელი.

სულით და გულით გილოცავთ 80 წლის იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას, ბედნიერებას თქვენს ოჯახთან ერთად. ასევე – კვლავაც წარმატებულ და ნაყოფიერ მოღვაწეობას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში.

პატივისცემით, **რომან რურუა,** საქართველოს ჩემპიონი, სპორტში მსოფლიოს ყველა ტიტულის მფლობელი. 25 მაისი, 2022

ფოთელაბი გულითადად გილოცავთ იუბილეს!

სამშინწოდ ცნობილია თქვენი ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ – მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრი, ფოთის საპატიო მოქალაქე, უამრავი მონოგრაფიის, სამეცნიერო სტატიების და გამოგონებათა ავტორი, საერთაშორისო გრანტების მფლობელი, ეკოლოგიური და ბიოლოგიური მეცნიერების განვითარების დარგში შეტანილი წვლილისათვის არაერთხელ დაგაჯილდოვეს საერთაშორისო მასშტაბით.

აღსანიშნავია მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლობა ფოთის მერიასთან, რომლის თაობაზე მეტურანდუმს ხელი მოეწერა 2019 წლის მაისში. გილოცავთ დაბადების დღეს! დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს გისურვებთ ქართული მეცნიერების შემდგომი წინსვლა-განვითარების საქმეში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ბებე ვაჭარაძე, ქალაქ ფოთის მერი

ქართველ მესნიერთა ღირსეული თავკასი!

გამოჩენილ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ღირსეულ თავკაცს, საზოგადო მოღვაწეს, ბატონ **გიორგი კვეციანს** საზოგადოება „კუსტის“ წევრები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ 80 წლის იუბილეს.

ბატონო გიორგი, ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას გისურვებთ ქართული მეცნიერების განვითარებასა და წინსვლაში კვლავ უდიდესი წვლილის შესატანად. გისურვებთ ბედნიერებას თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად და შემდგომ წარმატებებს სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში.

საზოგადოება „კუსტა“

გელათში UNESCO-ს ექსპერტთა მისიონერი ჯგუფი მუშაობს



გელათის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის შობის ტაძარზე ახალი დროებითი გადახურვის მოწყობის პროექტს UNESCO-ს მაღალკვალიფიციური ექსპერტები გაუწვევენ ზედამხედველობას. საგანგებოდ ამ მიზნით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მოწვევით, გელათში უკვე იმყოფებიან ძეგლის გადახურვის სპეციალისტები—პროფესორი უგო ტონიეტის და სარა სტეფანინი, რომლებიც 28 მაისს შეუდგნენ მუშაობას და 31 მაისამდე დარჩებიან საქართველოში.

ისინი შეაფასებენ ქართველი სპეციალისტების მიერ დროებითი გადახურვის მოსაწყობად ჩატარებულ მოსამზადებელ სამუშაოებს და, საჭიროების შემთხვევაში, გაიცემა შემდგომი რეკომენდაციები ახალი დროებითი გადახურვის მოწყობასთან დაკავშირებით.

ამასთანავე, ადგილზე იმუშავენ UNESCO-ს ექსპერტების კიდევ ერთი ჯგუფი კლიმატოლოგ ალესანდრო მასარისა და კედლის მხატვრობის სპეციალისტის მარიო პულიერის შემადგენლობით. ორივე მათგანი დროებითი გადახურვის მოწყობის პროექტს საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე დააკვირდება. კერძოდ, ალესანდრო მასარი ტაძარში ტენიანობის მონიტორინგს განახორციელებს, ხოლო მარიო პულიერი კედლის მხატვრობის მდგომარეობას გაუწევს მონიტორინგს.

შეგახსენებთ, ტაძარში დროებითი გადახურვისთვის მოსამზადებელი სამუშაოები ადგილზე მიმდინარე წლის 13 მაისიდან დაიწყო. ტაძრის დასავლეთ მკლავსა და თაღებში დარჩენილი ტენიანობის აღმოსაფხვრელად, ტაძრის სახურავის ამ არეალში 2020 წელს მოწყობილი დამცავი დროებითი ლითონის საფარისა და 2008 წლის პროექტის მიხედვით ხარვეზებით დაგებული მოჭიქული კრამიტის სახურავის მოხსნა და ახალი დროებითი გადახურვის მოწყობა UNESCO-ს მაღალკვალიფიციური ექსპერტების კვლევებისა (მათ შორის, ჰიგრომეტრიული) და რეკომენდაციების შესაბამისად დაიგეგმა. ცნობილი კლიმატოლოგ ალესანდრო მასარისა და მსოფლიო დონის არქიტექტორ რესტავრატორის, პროფესორ უგო ტონიეტის მიერ 2022 წლის 27 იანვარს გაიცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, აუცილებელია ზაფხულში გელათის ძირითადი ტაძრის დასავლეთ მკლავზე ხარვეზიანი კრამიტის საფარის მოხსნა კედლებსა და თაღებში დარჩენილი ტენიანობის ზემოდაქცევის მიზნით. დღეისათვის, აორთქლება მხოლოდ ტაძრის შიგნიდან მიმდინარეობს, რაც აფერხებს ტაძრის დასავლეთ მკლავში შრობის პროცესს და ამით საფრთხეს უქმნის კედლის მხატვრობას. კლიმატოლოგ ალესანდრო მასარისა და პროფესორ უგო ტონიეტის მკაფიო რეკომენდაციით, აორთქლების პროცესი, დასავლეთ მკლავის მეტეოროლოგიური პირობებისგან (წვიმა) დაცვის მიზნით, საჭიროა მოეწყოს ახალი დროებითი გადახურვა, რომელიც სახურავის ზედაპირისგან დაშორებული იქნება.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ მიმდინარე წლის 25 მარტს შეიტანა ლითონის ახალი დროებითი გადახურვის პროექტი, რომელიც პროფესორ უგო ტონიეტის პირადი ზედამხედველობით შეიქმნა. 13 მაისიდან დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები, ხოლო უშუალოდ დროებითი გადახურვის მოწყობას, როგორც ზემოთ აღინიშნა, ადგილზე UNESCO-ს ექსპერტთა ჯგუფი უხელმძღვანელებს.

აღსანიშნავია, რომ ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი შემუშავდა 2008 წელს. როგორც პროექტი, ასევე მისი განხორციელების პროცესი სერიოზული ხარვეზებით გამოირჩეოდა და ტაძარში წყლის ჩასვლის პრევენცია მხოლოდ 2020 წლის დასასრულისთვის მოხერხდა. 2021 წლის მარტიდან ახალ შექმნილმა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ქმედითი ნაბიჯები გადადგა გელათის სამონასტრო კომპლექსის წინაშე მდგარი გამონევენების აღმოფხვრის მიმართულებით. კერძოდ, სამინისტროს ძალისხმევით, 2021 წლის ზაფხულიდან დაიწყო საქართველოში UNESCO-ს ექსპერტთა რამდენიმე მისია განხორციელდა. UNESCO-ს ექსპერტთა ჯგუფის პირველი მისია გელათში მიმდინარე წლის 23-30 ივნისის პერიოდში შედგა. ექსპერტთა ორმა ჯგუფმა (კედლის მხატვრობის კონსერვაციის სპეციალისტები მარიო პულიერი და კინჩენტო ჩენტანი და ძეგლის გადახურვის სპეციალისტები პროფესორი უგო ტონიეტის და სარა სტეფანინი) ადგილზე შეისწავლა გელათში შექმნილი მდგომარეობა და აგვისტოს დასაწყისში კულტურის სამინისტროს წარუდგინა საქსპერტო დასკვნა. დასკვნაში დეტალურად იყო შეფასებული გელათის სამონასტრო კომპლექსში არსებული მდგომარეობა და მოცემული იყო კონკრეტული რეკომენდაციები. ამის შემდეგ, გელათის სამონასტრო კომპლექსის კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით, საქართველოს 2021 წლის სექტემბერში ვინჩენცო ჩენტანი და ნოემბერში მარიო პულიერი ეწვია. 2021 წლის ნოემბერში კი, კულტურის სამინისტროს მოწვევით გელათს ცნობილი კლიმატოლოგი ალესანდრო მასარი სტუმრობდა და მან ადგილზე შეისწავლა არსებული მდგომარეობა.

სწორედ ამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და ქართველ სპეციალისტებთან კონსულტაციების შედეგად დაიგეგმა შემდგომი სამოქმედო ნაბიჯები.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიამ რუსეთის პატრიარქისგან დაშორების გადაწყვეტილება გამოაცხადა!

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კრების წევრებმა გააგრძელეს განცხადება ომის დაგეგმვის შესახებ, რომელსაც რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ აწარმოებს. განცხადების მიხედვით ისინი არ ეთანხმებიან მოსკოვის პატრიარქის, კირილის პოზიციას. ასევე ცვლილებები შეიტანეს საკუთარ წესდებაში, რომლის მიხედვით უკრაინის ეკლესიის სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადდა.

კრების შედეგების შესახებ განცხადებაში ნათქვამია, რომ ის „გმობს ომს, როგორც დარღვევას საღვთო ცნებისა — „არაკაც კლა“ და თანაგრძობას გამოთქვამს ყველას მიმართ, ვინც ომისგან დაზარალდა“.

„ვაცხადებთ, რომ არ ვეთანხმებით მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, კირილის პოზიციას უკრაინაში ომთან დაკავშირებით“.

„კრებამ მიიღო შესაბამისი ცვლილებები და დამატებითი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის ცვლილების შესახებ, რომლებშიც საუბარია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის და თვითმყოფადობის შესახებ“, — განაცხადეს კრების წევრებმა.

ამასთან, დოკუმენტში არ არის დაზუსტებული კონკრეტულად რა ცვლილებები შევიდა წესდებაში.

გამოქვეყნებული დოკუმენტის მიხედვით ძნელია მტკიცება, რომ უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა, ანუ ავტოკეფალია მართლაც გამოაცხადა: ამისათვის აუცილებელია რიგი დამატებითი ნაბიჯების გადადგმა, და რაც მთავარია, ეს დამოუკიდებლობა სხვა მართლმადიდებელმა ეკლესიებმაც უნდა აღიარონ.

ეკლესიის კრებამდე ეპისკოპოსების მხრიდან კეთებოდა არაერთი განცხადება პატრიარქ კირილის ღვთისმსახურებისას მოხსენიებაზე უარის თქმის, ან სხვა ნაბიჯების შესახებ, რაც მიანიშნებდა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალიის გზას დაადგა. თუმცა ოფიციალური დოკუმენტები ამის შესახებ ჯერ არ გამოქვეყნებულა.

რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა, ვლადიმერ ლეგოიდამ საკმაოდ სიტყვიერად უკრაინის გააკეთა უკრაინის ეკლესიის გადანაცვლებების შესახებ: „გინაიდან რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას ჯერ არ მიუღია მიმართვა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისგან, ჩვენ არ შეგვიძლია ინფორმაციაზე რეაგირება, რომელიც ინტერნეტში ან პრესით მივიღეთ. იმ ვითარებაში, როცა გარე ძალები ცდილობენ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობა დაანგრეონ, ჩვენი მხრიდან უპასუხისმგებლობა იქნებოდა დეტალური კომენტარება იმ გადანაცვლებებისა, რომელსაც უკრაინის თვითმმართველი მართლმადიდებელი ეკლესია იღებს“, — დაწერა მან ტელეგრამ არხზე.

უკრაინული მართლმადიდებელი ეკლესიის კრების მონაწილეებმა ასევე განაცხადეს, რომ არ კარგავენ დიალოგის განახლების იმედს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიასთან — სიდიდით მეორე უკრაინულ მართლმადიდებელ თემთან. ეს უკანასკნელი 2018 წლის დეკემბერში შეიქმნა, 2019 წლის იანვარში კი მისმა მეთაურმა, მიტროპოლიტმა ეპიფანია მსოფლიო პატრიარქისგან ტომოსი მიიღო ავტოკეფალიის შესახებ. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მას აღიარებს.

NEWSREPORT.GE

კიეველ ხალხს კიევის დღეს კულოსავთ!
საძარბაველს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი კიეველ ხალხს დედაქალაქის დღეს ულოცავს.
„გილოცავთ კიევის დღეს. ესაა მშვენიერი, ევროპული ქალაქი 1540 წლის განმავლობაში, მას ისეთივე ნათელი და გმირული მომავალი აქვს, როგორც მისი ისტორიაა. ვალოცავთ კიეველ ხალხს, რომლის გამძლეობაზეც, საუკუნეებია, იმედისმომცემი და სამაგალითოა“, — წერს სალომე ზურაბიშვილი Twitter-ზე. კიევის დღე ყოველი მაისის ბოლო კვირას აღინიშნება.



ენინააღვებებიან რუსული ნაპოვნის აკრძალვას

ევროკავშირის ქვეყნებს წინადადება წარუდგინა, რომელიც საზღვაო გზით მიწოდებულ რუსულ ნავთობზე უარის თქმის შემთხვევაში, მილსადენით იმპორტირებულ რუსულ ნავთობზე შეზღუდვების დაწესების გადადგმას ითვალისწინებს. ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო Bloomberg-ი წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს.

წყაროების ინფორმაციით, აღნიშნული წინადადება უნგრეთს, რომელიც რუსული ნავთობის აკრძალვას ეწინააღმდეგება, მეტ დროს მისცემს ტექნიკური გადაწყვეტილების მოსაძებნად მისი ენერგეტიკული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ასევე ითვალისწინებს სხვა ქვეყნების, მათ შორის სლოვაკეთისა და ჩეხეთის შემოერთებას, რომლებიც ძლიერ არიან დამოკიდებული რუსულ ნავთობზე.

ახალი წინადადების თანახმად, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ნავთობის იმპორტს საზღვაო გზით ექვს თვეში, ხოლო ნავთობპროდუქტების იმპორტს რვა თვეში შეწყვეტენ. გარდა ამისა, ბულგარეთს გარდამავალ პერიოდს შესთავაზებენ 2024 წლის ივნისამდე ან დეკემბრამდე, ხოლო ხორვატიას ვაკუუმური გაზოილის იმპორტის შესაძლებლობა მიეცემა. ევროკომისიის ასევე გამოდის წინადადებით, შეიზღუდოს მილ-

სადენით მიწოდებული რუსული ნავთობის რეექსპორტი სხვა წევრ სახელმწიფოებში ან მე-სამე ქვეყნებში.

რუსულა ფონ დერ ლაიხნი: ევროკავშირი იძულებულია, იიღოს ნაპოვნი რუსეთიდან...

„ჩვენი ყოველთვის უნდა ვიპოვოთ სწორი ბალანსი, რომ ჩვენს ეკონომიკას დიდი ზიანი არ მივაყენოთ. თუ ჩვენ დღეიდან რუსულ ნავთობზე სრულად ვიტყვი უარს, მაშინ პუტინი სავარაუდოდ, შეძლებს მის გაყიდვას მსოფლიო ბაზარზე, სადაც ფასები გაიზრდება და მეტს გამოიმუშავებს. ეს მის საომარ სახსრებს შეაფასებს. ასე, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან სტრატეგიული ამ საკითხთან დაკავშირებით“, — განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა ფონ დერ ლაიხნიმ.



ქართულ ენათმეცნიერებას უშიშროება!

ფილოლოგი, ენათმეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი შუქია აფრიდონიძე-ნიძე 82 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ამის შესახებ სოციალურ ქსელში პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი ლევან თაბატაძემ დაწვრილა:

„ქალბატონმა შუქია აფრიდონიძემ დაგვტოვა, იშვიათ შემთხვევაში ხდება ხოლმე ჩემს ცხოვრებაში, როცა ძვირფასი ადამიანის გარდაცვალებას გავიგებ და მასზე მეტად ჩემი თავი და ჩვენი საზოგადოების უანსალი ნაწილი მეცოდება, რომელიც ვეღარ დაინახავს მის გაცნობიერებულ სახეს, ვეღარ მოისმენს მის იმედის მომცემ ლაპარაკს.

მისი გარდაცვალებით ერთი ისტორიული წიგნი დაიხურა, რომელიც თედო სახოკიათი იწყებოდა და შუქია აფრიდონიძით დასრულდა. ამ წიგნში ერთ ფურცელზე ჩემი დიდი პაპის გიორგი თაქთაქიშვილის, მისი ლეგენდარული ბაღის ისტორიაც ვწერა. ქალბატონი შუქია ჩემთან შეხვედრისას ხშირად იგონებდა ბავშვობის იმ წლებს, როცა პაპას ის ჩვენს სოფელში ჩაჰყავდა. ჩემი დიდი პაპა თბილისშიც მალაგდა თურმე თედო სახოკიას ჟანდარმერიის მიერ ძებნის პერიოდში.

მაშინ დამეგობრებულან და ზაფხულის საბჭოთა თბილისს გამოვიდებო-



ლი თედო სახოკია რველში დიდი ვირგლის ძირში ესაუბრებოდა ჩემს დიდი პაპას იმ თემებზე, ქალბატონი შუქიას რომ არ უნდა გაეგო. ნეტავ, მაშინ მანდ ვყოფილიყავი-მეთქი, ვუთხარი ქალბატონი შუქიას, მე ხომ ვიყავი და ვერც ვერაფერი გაგიგო, გაიცინა.

დაპირებული ვიყავი რველში ერთად ჩასვლას, მაგრამ ვერ შევსრულე. მან კი რამდენიმე წლის წინ შეასრულა ერთი მისთვის უმნიშვნელოვანესი მოვალეობა: დააბინავა პაპის ბიბლიოთეკა ავეჯით ეროვნულ ბიბლიოთეკაში,

დღეს ეს ავეჯი და ბიბლიოთეკა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დარბაზშია დაცული. ახლა თითქმის ყურში ჩამეხმის ქალბატონი შუქიას ხმა, რომელსაც ახლა მეტყობა: ნავედი პაპასთან!

მწვიდობით, ქალბატონო შუქია, თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ მთელი ცხოვრება ღირსეულად ატარეთ ღირსეული და ლეგენდარული პაპის ღირსეული შვილიშვილის სახელი ისე, რომ დატოვებთ საკუთარი ბრენდი „შუქია აფრიდონიძე“ – ქართული ენათმეცნიერების ვარსკვლავი“.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა ცნობილი ენათმეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, უმაღლესი სკოლის თვალსაჩინო მასწავლებელი, სტუდენტთა საყვარელი ლექტორი, უიშვიათესი პიროვნული თვისებებით შემოჭრილი ქალბატონი, ჩვენი გაზეთის მუდამ სასურველი ავტორი

შუქია აფრიდონიძე

და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს და სამეგობროს.

უძველესი ამაზონური დასახლებების ნაშთები - ბოლივიის ჯუნგლებში

ბოლივიის ჯუნგლებში, გაუვალი მცენარეულობის საფარველში, გრძელი დასახლების ნანგრევები აღმოაჩინეს, რომელიც ერთ დროს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ეკუთვნოდა; ამავე საზოგადოებას დიდი მიდრეკილება ჰქონდა კოსმოლოგიისკენ.

26 ძეგლი, რომელთა ნახევარიც არქეოლოგთათვის აქამდე უცნობი იყო, კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ამაზონის რეგიონი ერთ დროს დიდი, ხანგრძლივი დასახლებებისა და უძველესი კომპლექსური საზოგადოებების სამშობლო იყო, იქამდე, ვიდრე ამერიკის კონტინენტზე ესპანელები შეიჭრებოდნენ.

„ჩვენ მიერ მიღებული შედეგები უკუაგდებს იმ არგუმენტს, რომ დასავლეთ ამაზონია ესპანელებამდე პერიოდში მენხრად იყო დასახლებული და აძლიერებს არსებულ მტკიცებულებას, რომ კასარაბეს კულტურას ჰქონდა ძლიერ ინტეგრირებული, უწყვეტი და მჭიდრო დასახლების სისტემა“, - წერს გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის არქეოლოგი პეიკო პრიუმერსი და მისი ჯგუფი ახალ კვლევაში.

ვერტიკულურად დაყენებული დისტანციური ლაზერული სკანერების გამოყენებით, არქეოლოგთა ჯგუფმა დაასკანირეს უძველესი კასარაბეს კულტურის დასახლების ექვსი ზონა; ეს კულტურა თანამედროვე ბოლივიის ტერიტორიაზე ახ. წ. 500 - 1400 წლებში ყვავდა.

მათ მიერ გაუვალი ტყის საფარის ქვეშ აღმოჩენილ დასახლებათა ფართო ქსელი წარმოადგენს დაბალი სიმჭიდროვის ურბანიზმის ტიპს, ამ სახის პირველ დასახლებას, რომელიც სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ დაბლობებში აღმოაჩინეს; გამოირჩევა მრავალი დახვეწილი კონსტრუქციით, მათ შორის საფეხურებიანი პლატფორმებით და U-ს ფორმის მიწაყრილობით - ყველა ეს ნაგებობა ჩრდილოეთიდან ჩრდილო-დასავლეთით არის მიმართული.

კოლორადოს სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგ კრისტოფერ ფიშერის განცხადებით, რომელიც ამ კვლევაში ჩარ-

თული არ ყოფილა, ადამიანის მიერ შექმნილი უძველესი ლანდშაფტის ნიშნები გვაიძულებს, აზრი შევიცვალოთ ამაზონის რეგიონის ადრეული საზოგადოებების შესახებ.

„არქიტექტურული ნაშთების მასშტაბი ამ ძეგლებისა, რაც მოიცავს მინისგან შექმნილ პირამიდებს, რომლებიც ერთ დროს



სავანიდან 20 მეტრის სიმაღლეზე იყო ამომართული, არ შეიძლება გადაჭარბებული იყოს და შეესაბამება ნებისმიერ ძველ საზოგადოებას“, - წერს ფიშერი.

თუმცა, ზოგიერთ არქეოლოგს ათწლეულების განმავლობაში სჯეროდა, რომ ბოლივიის ლიანოს-დე-მოსოსის მწირი ნიად-აგები, ცენტრალურ ამერიკაში მაიას ციხე-სიმაგრეთა მსგავსად, ვერ უზრუნველყოფდა დიდ მოსახლეობას და დახვეწილ, ურბანულ ცივილიზაციებს.

თუმცა, როგორც წინა მტკიცებულებები მიუთითებს, კასარაბეს ხალხი გამოცდილი სოფლის მეურნეები იყვნენ, რომლებმაც მოათვინიერეს სეზონური წყალდიდობები, ამაზონის სავანები პროდუქტიულ ლანდშაფტად გარდაქმნეს, მოჰყავდათ სხვადასხვა კულტურა და თან ნადირობასა და თევზაობასაც მისდევდნენ.

მაგრამ მაინც ცოტა რამ იყო ცნობილი იმის შესახებ, როგორ აშენებდა კასარაბეს ხალხი საცერემონიო სტრუქტურებს ან აგებობდა საკუთარ დასახლებებს.

საქმეში ამჯერად LIDAR-ი ჩაერთო, დისტანციური ზონდირების მეთოდი, რომელიც დედამიწის ზედაპირს მაღლიდან, ლაზერული ჭავლებით ასკანირებს და სულ რაღაც ერთი გადაფრენით იღებს იმ შედეგებს, რასაც აქამდე წლობით სავსე სამუშაოები სჭირდებოდა.

კვლევაში პრიუმერსმა და მისმა კოლეგებმა აღწერეს ორი დიდი დასახლება - კოროკა და ლანდივარი, რომლებიც პატარა ძეგლებისგან შემდგარი რეგიონული ქსელის ცენტრალურ პუნტებს წარმოადგენდა; ჯამში ასეთი ძეგლი 24 იყო და ერთმანეთს დღემდე შესამჩნევ, რამდენიმე კილომეტრის სიგრძის ქვაფენილებით უკავშირდებოდა.

მკვლევარების შეფასებით, კოკოტას ასაშენებლად, კასარაბეს ხალხმა დაახლოებით 570 000 კუბური მეტრი მიწა გადაიტანეს, ათჯერ უფრო მეტი, ვიდრე ტიუაკუს ხალხმა ბოლივიის მთიანეთში არსებული უდიდესი სტრუქტურის - აკაპანას პირამიდის ასაშენებლად.

ცენტრალურ დასახლებათა დასაცავად, კასარაბეს ხალხს ასევე აშენებული ჰქონდა თხრილები და ბურჯები, წყლის კონტროლის სისტემები ჭარბი საკვების მისაღებად, რაც არქეოლოგთა აზრით, უზრუნველყოფდა კასარაბეს მოსახლეობის სიდიდეს.

ურთიერთდაკავშირებულ დასახლებათა განლაგება და მასშტაბი ასევე მიუთითებს, რომ კასარაბეს ხალხმა ჩრდილოეთ ბოლივიაში ასევე შექმნა ისეთი სოციალური და საზოგადოებრივი ლანდშაფტი, როგორებიც ჩვენთვის უფრო ნაცნობ ანდურ კულტურებს ჰქონდათ.

სოციალური კომპლექსურობის ასეთი დონე კი ადრეულ ამაზონურ კულტურებთან აქამდე დაკავშირებული არ ყოფილა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ყველაფერი აეროკვლევით აღმოაჩინეს, შესაძლოა კიდევ უფრო მეტი შევიტყოთ ადგილზე კვლევით, თუკი იქ შელწევა მოხერხდა; შეიძლება შემორჩენილი იყოს უძველესი არტიფაქტებიც, რომლებიც უფრო დეტალურ ცნობებს მოგვცემს ამ ხალხის კვების რაციონის, ცხოვრების წესისა და კულტურის შესახებ.

კვლევა ქურნალ Nature-ში გამოქვეყნდა. მომზადებულია ScienceAlert-ის მიხედვით. მიხეილ ჭაბუკაშვილი

კოლეგები გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკიდან“ გულსტიკივლით უსამძიმრებენ უცხოეთში დევნილ ცნობილ ჟურნალისტს, გაზეთ „შანსის“ დამფუძნებელსა და მთავარ რედაქტორს ბონდო ქურდაძესა და მის ოჯახს დედის, უკეთილშობილესი და კდემამოსილი ქალბატონის

მედა ბლიაქე-ქურდაძის

გარდაცვალების გამო. რაოდენ სამწუხარო და უდიდესი ტკივილია, როდესაც მშობელი დედის დაკრძალვას ვერ ესწრები სამშობლოდან დევნილი ადამიანი... ჩვენო ბონდო, მსწენობასა და ჭირსა შიგან გამაგრებას გისურვებთ. შენი უახლოესი მეგობრები გულდამძიმებულნი დაგესტირით ქალბატონ მედას, რომელიც ჩვენი მრავალწლიანი ურთიერთობის დროს შენს მეგობრებზე მზრუნველ და მლოცველ დედად იყო ქცეული. იგი სიცოცხლის ბოლო წუთამდე დღემუდამ ლოცულობდა შეილებზე, შეილი შეილებსა და უნახავ შეილთა შეილებზე, ბოლომდე არ დაუკარგავს იმედი, რომ მათ შეხვედბოდა და ჩვეული სიყვარულითა და სითბოთი შეეგებებოდა. ოცნება ოცნებად დარჩა. ამ მძიმე წუთებში შენ გვერდით გვიგულზე ძვირფასო მეგობარო...

საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკისა და ავტომატიკის ფაკულტეტის 1964 წლის 803-ე ჯგუფის კურსდამთავრებულები დიდი გულსტიკივლით იუნწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაჯგუფელი, პროფესიაში წარმატებული სპეციალისტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოთვლითი ცენტრის უფროსი, პოლიკოვნიკი, საუკეთესო მეგობარი და კოლეგა

ლევან რთველაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჯგუფელების სახელით: გივი აბდუშელიშვილი, მადიკო ანდლულაძე, ნათელა აბულაძე, დოდო გამყრალიძე, გურამ გამყრალიძე, ლენა პირველაშვილი, ვალერი სანდოძე, მახვალა ტორონჯაძე, ნუზარ ჩაჩხიანი, თამარ ჩხატარაშვილი, დიბა ცისკარიძე, ომარ ხორგუანი.

ი. შორღანიას და ა. ხომა-სურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აბრძოლებს მუშაობას მისაპარტოზა - თევზორა მღვდლის, 13 ა. VII სართული. ტელ. 224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილება. ბისურ-ვებო ჯანმრთელობას!



პოპტ ღავით მაღრაქს ATELIER-ის მთავარი პრიზი მიენიჭა

პოპტ ღავით მაღრაქსს ჟურნალ Atelier-ის მთავარი პრიზი – „თანამედროვე პოეზია“ მიენიჭა. პრიზი პოეტს მილანის რეგიონის ქალაქ ბორგომანეროში 28 მაისს გადასცეს.

ავტორთან ერთად, ლექსები თეატრისა და კინოს არტისტმა ჯულიო გრეკომაც წაიკითხა. ინგლისური თარგმანის ავტორი გაბრიელ გრიფინია, ხოლო იტალიურის – ნუნუ გელაძე.

„დიდება მეფეს – დიდ კახს“!

„დიდება მეფეს ირაკლი ჩხენი სიამაყით ჩვენს მეფეს ვიცავთ და ისტორიას, რომლის დამახინჯების მცდელობა ეროვნული დანაშაულია“ – ერეკლე მეორის დასაცავად გუშინ მისი რეზიდენციის წინ საშობაო საზოგადოება, ცნობილი სახეები და საჯარო მოხელეები შეიკრიბნენ. მეფის მხარდასაჭერ აქციის სხვა რეგიონებიდანაც შეუერთდნენ.

მშვიდობიან აქციაზე „რესპუბლიკური პარტიის“ დამფუძნებლის ლევან ბერძენიშვილის განცხადება გააპროტესტეს, რომელმაც ერთ-ერთ ინტერვიუში ერეკლე მეფეს მოლაღობა უწოდა.



აქციის მონაწილეებმა ბერძენიშვილს ისტორიის ცოდნა და უწუნეს, ერეკლე მეფის მოღვაწეობა თელავიდან კიდევ ერთხელ შეასხენეს და ეროვნული ცნობიერების შეცვლის მცდელობაში დაადანაშაულეს. ადგილობრივები ამბობენ, რომ ქართლ-კახეთის მეფის მმართველობა თითოეული ქართველისთვის საამაყო უნდა იყოს და პატარა კახის ცხოვრება დაცინვის ობიექტი არასოდეს არ უნდა გახდეს. აქციის დასასრულ ითქვა, რომ შაბათს, 4 ივნისს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში, სადაც ერეკლე II არის დაკრძალული, მეფის სულის მოსახსენებელ პარაკლის გადაიხდინან.




პაატა გულიაშვილმა „კომედი ჯგუფი“ დატოვა

მსახიობმა პაატა გულიაშვილმა „კომედი ჯგუფი“ დატოვა. ამის შესახებ მან სოციალურ ქსელში დაწერა. მისი გადაწყვეტილება თელავში გუშინ ჩატარებულ აქციას უკავშირდება, რომელიც ლევან ბერძენიშვილის წინააღმდეგ გაიმართა.

„მოკლედ, ძალიან დიდი მადლობა კომედი ჯგუფის ბიჭებს, საქმის გამკეთებლებს და ნიჭიერ ხალხს... არ ღირს ჩემ გამო ვინმე უხერხულად იგრძნოს თავი... მე წავედი“

P. S. რაც შეეხება ერეკლე მეფეს, მასზე ცუდის მთქმელის მაგინებელი ვიყავი, ვარ და ვიქნები“, – დაწერა „ფეისბუქზე“ პაატა გულიაშვილმა.

დიდ პრიზიანთში, კაცს ორივე ხელის მტვერანი გადაუნრგეს. როგორც 48 წლის სტივენნი ამბობს, ოპერაციამდე, ხელების საშინელ ტკივილს განიცდიდა და ვერცერთ ხელს ვერ იყენებდა, ოპერაციის შემდეგ კი, საქმის დამოუკიდებლად კეთებაც შეუძლია და ტკივილსაც აღარ გრძნობს. კაცს რამდენიმე წლის წინ სკლეროდერმა დაუდგინდა. ესაა კოლაგენური დაავადება, რომელიც შემავრთველი ქსოვილის დიფუზური დაზიანებით მიმდინარეობს. ამ დაზიანების შედეგად, ორგანოთა სხვადასხვა სისტემაში



უნიკალური ოპერაცია

შემავრთველ ქსოვილს ფიბროზული წარმონაქმნები ენაცვლება, ეს კი, როგორც საკუთრივ ორგანოს, ისე მთელი სისტემის ფუნქციონირება მოშლას იწვევს.

ვითარების დამძიმებამდე, კაცი მშენებელი იყო, თუმცა, მალევე მოუწია სამსახურის მიტოვება. მას დამოუკიდებლად ჩაცმას კი აღარ შეეძლო. 5 თვის წინ, მან პროფესორ საიმონ ქეის მიმართა, რომელიც ჯერ კიდევ 2016 წელს ხელმძღვანელობდა ადამიანის ორივე ხელის ოპერაციას. თითქმის ნახევარი წლის წინ ჩატარებული წარმატებული ოპერაციის შემდეგ, კაცი თერაპიას გადის და ამბობს, რომ როდესაც სრულად გამოჯანმრთელდება, სამშენებლო საქმიანობას დაუბრუნდება.



პოპულარული ალმანახის მორიგი ნომერი

გამომცემი ლიტერატურული ჟურნალ „ოლეს“ 2022 წლის II ნომერი.

ჟურნალი იხსნება ფანანა ნაინასა და ალა დათუკიშვილის ომის თემაზე დაწერილი ლექსებით. რუმინული „ოთარ ხუციშვილი – 90“ იმეჭდება საიუბილეო მილოცვებით. „მხატვრული ლიტერატურის“

რუმინული ქვეყნდება: ვანო ჩხიკვაძის რომანი „გვირაბი“ (დასაწყისი); აკაკი მიძინაშვილის, მარიამ ძამუკაშვილის, დარეჯან ჭანკოტაძის, ნაყუნ მექვერძიაშვილის, ანა მანოშვილის ლექსები; ლანა მანველის რომანი „სად არის შენი გული“ (გაგრძელება). მაია კაკუნიძისა და ანზორ სიფრაშვილის პროზაული ნაწარმოებები.

„მაგვემისთვის საუბრის“ რუმინული გავეცნობთ ვაჟა მიროტაძის საზავულო ლექსებს.

„თარგმანები“ რუმინულში წაიკითხავთ ენესტ დოუსონის ლექსს. თარგმნა ნინო ძამუკაშვილმა.

ჟურნალი აქვეყნებს ქრისტიანული პოეზიის XII ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარი“ საკონკურსო ლექსებს.

„თელავის კულტურული ცხოვრების ქრონიკის“ რუმინული იმეჭდება: წიგნის საჯარო კითხვის მსოფლიო დღე, ლიტერატურული მარათონი, ელენეობა.

ჟურნალის განვეყანვე დამეჭდილია მხატვარ ლევან მოსიაშვილის ნახატი.

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი ლევან ანდრიაშვილი), თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი თენგიზ მთვარელიშვილი) მხარდაჭერით.

კანის 75-ე კინოფესტივალის ბაპარჯიშვილები

კანის 75-ე საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი ჯილდოს, ოქროს პალმის რტოს მფლობელი შევედი რეჟისორის რუბენ ოსტლუნდის ფილმი „სევდის სამკუთხედი“ გახდა.

ფესტივალის რიგით მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი ჯილდო, კინოფესტივალის გრან-პრი მოიპოვა ორმა ნამუშევარმა: ლუკას დონტის კინოსურათმა „ახლოს“ და კლერ დენის ფილმმა „ვარსკვლავები შუადღეს“.



საუკეთესო რეჟისორის ჯილდო სამხრეთკორეელმა პაკ ჩან უკმა მოიპოვა. ფესტივალის სპეციალური პრიზი გადაეცა ქმები დარდენების ფილმს „ტარი და ლოკიტა“.

საუკეთესო მსახიობი მამაკაცის როლისთვის პრიზი გადაეცა სამხრეთკორეელ მსახიობს სონ კან ხოს, ჰიროკაზუ კორე-ედას ფილმში „ბროკერი“ შესრულებული როლისთვის.

საუკეთესო მსახიობი ქალის ჯილდო გადაეცა მსახიობ ზარ ამირ-ებრაჰიმის ალი აბასის „წმინდა ობობაში“ შესრულებული როლისთვის.

საუკეთესო სცენარისთვის ჯილდო შევედმა რეჟისორმა ტარიკ სალემმა მიიღო ფილმისთვის „ბიჭი სამოთხიდან“. ჟიურის პრიზი ერთდროულად ორ ფილმს გადაეცა – შარლოტა ვანდერმერსის და ფელიქს ვან გრუნინგენის იტალიურ-ბელგიური ფილმს „რვა მთა“ და პოლონელი რეჟისორის ეუი სკალიმოვსკის „ოს“. ფესტივალის მთავარ კონკურსში წელს 18 ფილმი იყო წარმოდგენილი.



უსტორიის ვალუტის ქარსი:
აუუ ღოღარი - 2.8657; აპრო - 3.0689
ბრიტანული პირანა სტარლინი - 3.6108;
100 რუბლი - 4.9280; თურქული ლირა - 0.2063;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6890;
1000 სომხური დრამი - 6.3789.

აპრილი 30 მაისისთვის		
ავროსაპლათი სპარკოვო:		
ბარი -	ღამე	+12, ღღე +34
მთინი რაიონი -	ღამე	+8, ღღე +31
დასავლეთი სპარკოვო:		
ბარი -	ღამე	+14, ღღე +37
მთინი რაიონი -	ღამე	+11, ღღე +34
თბილისი:	ღამე	+16, ღღე +33

დაგვიკავით, მოგვწერით:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ქვეყნის ბაზირი №17ი

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალექო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლობა:
შპს „ახალი საუკუნე –
გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანამედროვე –
გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“
გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იზაქიძე სტამბა
„კოლორი“
თ. პალდავაძის №3

კოლორი
ჭაუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323

2 009882 616932

ავტორთა
საჩუქრადღებოდ!
რედაქციის მიერ
შუამავთავი მასალაში
დაიგაჩედა
ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები,
შეხატვლა, გუდაამ
არ ემთხვეოდან
რედაქციის პოზიციას.
ფაქტების
სიუსტემა პასუს
ავტორთა.

**გაზეთის
მოგვწერო
ნომერი
გამოვა
ოთხშაბათს,
1 ივნისს**